

სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო

უწყებათმორისი სამუშაო ჯგუფის სხდომა

2009 წლის 23 სექტემბერი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სხდომის ოქმი N 1

2009 წლის 23 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს უწყებათმორისი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ქ-ნი ირინე ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
2. ბ-ნი ზურაბ ალავიძე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე
3. ქ-ნი მარინე ჭოლოშვილი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე
4. ბ-ნი აკაკი სეფერთელაძე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე
5. ბ-ნი ირაკლი კახნიაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი
6. ქ-ნი მაია ჩანქსელიანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
7. ქ-ნი თეა სიფრაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
8. ქ-ნი ნანი დალაქიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინე ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე

სხდომის მდივანი: თეა სიფრაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 სექტემბრის № 678 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატისა და ფუნქციების გაცნობა
2. საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირიდან მოსალოდნელი საბიუჯეტო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
3. სახელობო განათლებისა და მომზადების მოკლევადიანი 2009-2012 წლების სტრატეგიის პროექტის მიმოხილვა.
4. საქართველოში სახელობო განათლებისა და მომზადების პოლიტიკის საკვანძო საკითხების განხილვა.

სხდომის დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს მოკლედ მოახსენა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს შექმნის მიზნები და ფორმატი. აღნიშნა, რომ სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო შეიქმნა პროფესიული განათლების განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით. ასევე ისაუბრეს ევროკავშირისაგან მოსალოდნელი 19 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების შესახებ, რომელიც ევროკომისიის საბიუჯეტო დახმარების ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის მხარდასაჭერად შესაძლოა იქნეს გამოყოფილი, რაზედაც საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება ფინანსური ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლისთვის ნაკისრ ვალდებულებებს წარმოადგენს ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმირება (მისი ფორმატისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, ასევე საქართველოში პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება) და პროფესიული განათლების სექტორის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით

მოისმინეს: მათა ჩანქსელიანმა ისაუბრა სახელობო განათლებისა და მომზადების მოკლევადიანი 2009-2012 წლების სტრატეგიის პროექტის შესახებ და ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს, რომლის საპასუხოდაც აღნიშნული სტრატეგია შემუშავდა: კერძოდ, პროფესიული განათლების სისტემის დაბალ სიმძლავრეს - 38 საჯარო და 31 კერძო სასწავლებლის პოტენციალი (საერთო ჯამში 12000 ადგილი) ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს პოტენციური მოთხოვნა პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე, მაშინ როცა ყოველწლიურად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 30 % (დაახლ. 20000 მოსწავლე) რჩება ყოველგვარი საგანმანათლებლო სივრცის მიღმა, ამას ემატება ზრდასრულთა დიდი ნაკადი, რომელსაც სურვილი აქვს პროფესია შეიცვალოს და შეიძინოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისი ცოდნა და უნარები (მაგალითისთვის, საპრეზიდენტო პროგრამამ დასაქმებისათვის ვერ შეძლო ასეთი ადამიანების მოთხოვნის დაკმაყოფილება). ასევე ხაზი გაესვა ფაქტს, რომ კერძო სექტორის აქტიურობა პროფესიულ განათლებაში შემოიფარგლება მხოლოდ საზღვაო საქმითა და მედიცინის სფეროებით, რომელთაგან უკანასკნელი საერთაშორისოდ აპრობირებული მიდგომითა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ აღებული კურსის ფარგლებში არ მიეკუთვნება სახელობო განათლების სფეროს და შესაბამისად ლიცენზიის გაცემა მსგავსი კურსების მიწოდებისათვის შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი.

აზრი გამოთქვას: ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ არსებული სახელმწიფო დაფინანსების სიმწირის გამო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იძულებულია პროფესიული განათლების სისტემის შემდგომ ოპტიმიზაციას მიმართოს და არსებული 38 საჯარო სასწავლებლის რაოდენობა 25-მდე შეამციროს. აკაკი სეფერთელაძემ აღნიშნა, რომ განათლების სივრცის მიღმა დარჩენილი ახალგაზრდობა წარმოადგენს სამართალდამრღვევთა პოტენციურ რისკ-ჯგუფს, ამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აიღოს ვალდებულება მსგავსი პრობლემის პრევენციულ ზომების გასატარებლად. ზურაბ ალავიძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე ფაქტიდან, რომ ყოველწლიურად საშუალოდ 20000 ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს შემდგომი განათლება, სწორი იქნებოდა სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაზრდილიყო პროფესიული განათლების სიმძლავრე

სულ მცირე 20000 ადგილამდე მაინც, რაც, ერთის მხრივ, პიროვნების პროფესიულ განვითარებას შეუწყობდა ხელს, ხოლო, მეორეს მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველი გახდებოდა. ასევე დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო პროფესიული სასწავლებლებში შეთავაზებული პროგრამების სპექტრისა და ხარისხის კუთხით.

მოისმინეს: მაია ჩანქსელიანმა ისაუბრა ასევე პროფესიული განათლების სფეროში არსებულ მეორე უმნიშვნელოვანეს გამოწვევაზე - პროფესიული განათლების ხარისხზე. მან აღნიშნა, იმისათვის რომ სტუდენტებისათვის შეთავაზებული განათლება იყოს ხარისხიანი და რელევანტური, საჭიროა არსებობდეს შრომის ბაზრის სისტემატიური შესწავლის მექანიზმი, არსებობდეს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, სადაც დარეგისტრირებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით ყველა არსებული კვალიფიკაცია და კვალიფიკაციათა დონე, იარსებებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტები, რომლებიც დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, დარგობრივ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით იქნება შემუშავებული და რომელიც საფუძვლად დაედება საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთაც პროფესიული სწავლების ცენტრები შესთავაზებენ. რეგულარულად უნდა ხდებოდეს კვალიფიკაციათა სისტემის განახლება, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ აირჩიონ მათთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა, რომ შეიძინონ, ის კომპეტენციები, რომელზეც მოთხოვნა არის შრომის შიდა და გარე ბაზრებზე და ეკონომიკურ განვითარებისათვის ქვეყანაში არსებობდეს საჭირო მაღალკვალიფიციური კადრები.

აღინიშნა, პროფესიული სწავლების ცენტრების მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, რომელიც, ერთის მხრივ, არამიმზიდველს ხდის პროფესიულ განათლებას და, მეორეს მხრივ, ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის თანამედროვე განათლებისა და საჭირო კომპეტენციების მიწოდებას. სუსტია კავშირი პროფესიულ განათლებასა და დამსაქმებლებს შორისაც, რაც გამოწვეულია იმით, რომ დამსაქმებელს არ აკვს საკმარისი სტიმული დაინტერესდეს პროფესიული განათლების მიერ მომზადებული კადრებით, რადგან ნდობა პროფესიული განათლების სისტემისადმი, მისი დაბალი ხარისხის გამო მცირეა და შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები მუდმივად გამოთქვამენ უკმაყოფილებას საქართველოში კვალიფიციური კადრების არარსებობის გამო, მისთვის პროფესიულ განათლებაში ინვესტიციების ჩადების საკმარისი სტიმული, მაინც არ არსებობს.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ალავეიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გამომდინარე ქვეყნის პოლიტიკის კურსისა, რომელიც ევროპული სტანდარტებთან ჰარმონიზაციისაკენ არის მიმართული, საჭიროა არსებობდეს პროფესიული სტანდარტების ბაზა, სულ მცირე იმ 150 სპეციალობაში, რომელზე მოთხოვნა დღეს შრომის ბაზარზე მაღალია. განსაკუთრებით აღინიშნა, სოფლის მეურნეობაში კვალიფიციური კადრების სიმცირე, როცა ქვეყნის მიერ ჭარბწარმოებული საქონელის მიუხედავად, ქვეყანა იძულებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი განახორციელოს, რადგან მეურნეები არ ფლობენ ამ პროდუქტის შენახვის ტექნოლოგიებს, ასევე აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში ტექნიკის შემოტანისა და თემებისათვის მათი გადაცემის წარმატებული პოლიტიკის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, გამომდინარე იქიდან, რომ მეურნეებს არ ჰქონდათ ამ ტექნიკის სწორი ექსპლუატაციის კომპეტენციები. ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროა პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის ამაღლების მიზნით ღონისძიებების გატარება. ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. არსებული პროგრამული დაფინანსების პირობებში პროფესიული სწავლების ცენტრების მენეჯმენტს არ აქვს საკმარისი სტიმული ფული ეფექტიანად დახარჯოს, ხოლო სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი მსგავსი დაფინანსების შემთხვევაში სუსტია. სხდომის დამსწრეთა უმეტესობის აზრით უფრო ეფექტური იქნება სტუდენტზე მიბმული დაფინანსება, რაც, ერთის მხრივ,

სასწავლებლების კონკურენტუნარიანობას და განვითარებას შეუწყობს ხელს, და მეორეს მხრივ სახელმწიფო დაფინანსების უფრო ეფექტიანად დახარჯვის, მოსახლეობის სოციალური საჭიროებებზე უფრო მეტად გათვალისწინების საშუალებას მოგვცემს.

ზურაბ ალავიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული განათლების სისტემის განვითარების კუთხით ინვესტიციების ჩადების პასუხისმგებლობა მაღალია, სისტემის რეაბილიტაციის შემდეგ მოსალოდნელია კერძო სექტორის უფრო მეტად დაინტერესება პროფესიულ განათლების პროვაიდინგის განხორციელებით და შესაძლოა თანდათანობით სახელმწიფოს, როგორც პროფესიული განათლების ადმინისტრატორის წილი შემცირდეს კერძო სექტორის სასარგებლოდ.

დაადგინეს: სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება მუშაობა პროფესიული განათლების ისეთ საკვანძო და პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორცაა 1. პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2. შრომის ბაზრის კვლევა. 3. პროფესიული კვალიფიკაციის სისტემისა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება. 4. დამსაქმებელთა პროფესიულ განათლებაში ჩართვის მიზნით დამატებითი სტიმულების მოძიება.

სხდომას თავმჯდომარეობდა:  
ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:  
თეა სიფრაშვილი